

**შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური
ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
ამონაგები	შენ.#1	2 720 629	3 273 041
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(836 159)	(1 411 440)
საერთო მოგება	შენ.#3	1 884 470	1 861 601
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(300 728)	(274 959)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(883 512)	(765 963)
საოპერაციო მოგება		700 230	820 679
არასაოპერაციო შემოსავალი	შენ.#6	15 788	-
არასაოპერაციო ხარჯი	შენ.#7	(33 705)	-
მოგება დაბეგვრამდე		682 313	820 679
მოგების გადასახადის ხარჯი		(92 879)	(29 721)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#8	589 434	790 958
გაუნაწილებელი მოგება წლის			
დასაწყისში		1 106 371	483 834
დივიდენდები		(526 317)	(168 421)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	1 169 488	1 106 371

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2022	2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	447 750	492 556
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	50 428	117 526
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	311 382	168 379
		809 560	778 461
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	შენ.#13	449 282	400 007
სულ გრძელვადიანი აქტივები		449 282	400 007
სულ აქტივები		1 258 842	1 178 468
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	71 821	56 085
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	16 617	9 351
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	შენ.#16	916	6 661
		89 354	72 097
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	1 169 488	1 106 371
		1 169 488	1 106 371
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 258 842	1 178 468

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 772 849	2 320 907
გაწეული ხარჯები	(2 683 574)	(1 784 990)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(134 081)	(173 282)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (44 806)		362 635
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	492 556	129 921
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	447 750	492 556

შენ. #18

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“(ს/ნ 412732798) დაფუძნებულია 2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჯანდაცვის სხვა საქმიანობები, ლაბორატორიული პროცესების მართვა - ბიოქიმია, იმუნოლოგია, სეროლოგია, საერთო კლინიკური კვლევები. ამ საქმიანობებზე გააჩნია ISO სერტიფიკატი ნომერი 203361/A/0001/UK/Ge 30 აგვისტო 2019 წელი. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი,დ.აღმაშენებლის გამზირი #8, ბინა 8. კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია:

- მედეა ავალიანი (პ/ნ-60001064200) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 28 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთაფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხოვრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენება

კომპანია წინა პერიოდებში ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას მეოთხე კატეგორიის სტანდარტის შესაბამისად, რომელიც განკუთვნილი არ იყო გარე მომხმარებლებისთვის. კომპანიის მიერ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება პირველად მომზადებულია მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად

მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.3 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.4 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.5 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.6 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სამედიცინო (ანალიზატორული) აპარატურა 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

3. სამედიცინო და სხვა ავეჯი 15-20

4. ელექტრონული და სხვა მოწყობილობა 10-15

4.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.8 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.9 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტორივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებულ პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2022	2021
1	მომსახურების გაწევა	2 720 629	3 273 041
	სულ ამონაგები:	2 720 629	3 273 041

მომსახურების გაწევა მოიცავს მხოლოდძირითადი საქმიანობიდან, რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 2720629 ლარს. სულ 2022 წლის ამონაგებმა შეადგინა 2720629 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2022	2021
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	168 379	147 315
2	მარაგების შესყიდვა	979 162	1 432 504
3	გადამუშავების დანახარჯი	836 159	1 411 440
4	საბოლოო მარაგები	311 382	168 379

საწყისი მარაგები 168379 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქმიანობასთან დაკავშირებულ ნაშთს, შესყიდული მარაგები არის 979162 ლარი, დანახარჯი ძირითად მომსახურობაზე არის 836159 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის მარაგების ნაშთმა შეადგინა 311382 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2022	2021
1	სულ ამონაგები	2 720 629	3 273 041
2	მომსახურების თვითღირებულება	836 159	1 411 440
3	საერთო მოგება	1 884 470	1 861 601

სულ ამონაგებმა შეადგინა 2720629 ლარი. მომსახურების თვითღირებულებამ 836159 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1884470 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	235 727	232 462
2	საპენსიო დანარიცხი	921	737
3	საკომუნიკაციო	1 499	1 591
4	საკონსულტაციო	14 000	8 680
5	კომუნალური	20 159	18 559
6	დაცვა	1 378	1 200

7	დაზღვევა	10 950	1 200
8	სერტიფიცირება	4 602	-
9	მივლინება	1 277	-
10	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	10 215	10 530
11	სულ საოპერაციო ხარჯი	300 728	274 959

ადმინისტრაციის ხელფასმა შეადგინა 235727 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 921 ლარი, საკომუნიკაციო 1499 ლარი, საკონსულტაციო მომსახურებამ 14000 ლარი, კომუნალური დანახარჯი 20159 ლარი, დაცვის ხარჯმა 1378 ლარი, დაზღვევა 10950 ლარი, სერტიფიცირება 4602 ლარი, მივლინება 1277 ლარი და სხვა საოპერაციო ხარჯმა 10215 ლარი. მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შესაბამისად შეადგინა 300728 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2022	2021
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	712 567	660 993
2	საპენსიო დანარიცხი	2 567	2 373
3	საიჯარო ქირა	52 500	52 500
4	ცვეთა და ამორტიზაცია	63 388	47 557
5	სამედიცინო მომსახურება	47 490	-
6	სხვა	-	2 540
7	სულ საოპერაციო ხარჯი	883 512	765 963

ტექნიკური პერსონალის ხელფასმა შეადგინა 712567 ლარი, საპენსიო დანარიცხმა 2567 ლარი, საიჯარო ქირაზე ხარჯმა 52500 ლარი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჯარა არის ჩვეულებრივი ანუ მიმდინარე იჯარა და არ არის ფინანსური. ცვეთა- ამორტიზაციამ 63388 ლარი, სამედიცინო მომსახურების ხარჯი 47490 ლარი. ამრიგად 2022 წელს მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 883512 ლარი. (შენიშვნა #5)

#	დასახელება	2022	2021
1	არასაპერაციო შემოსავლები	15 788	-
2	არასაოპერაციო ხარჯები	(33 705)	-
3	სულ არასაპერაციო შემოსავლები/ხარჯები	(17 917)	-

არასაპერაციო შემოსავლებში ასახულია სამედიცინო მომსახურების ვალუტის კურსის ცვლილება, რომელიც შეადგენს 15788 ლარს, ხოლო არასაოპერაციო ხარჯებში ძირითადი საშუალების გასვლიდან ზარალი და ასევე სხვა ზარალი, რომელმაც ჯამში შეადგინა -33705 ლარი და სულ არასაპერაციო შემოსავლები/ხარჯების ჯამია -17917 ლარი. (შენიშვნა #6-7)

#	დასახელება	2022	2021
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	682 313	820 679
2	მოგების გადასახადი	(92 879)	(29 721)
3	მოგება/(ზარალი)	589 434	790 958
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	589 434	790 958

მთლიანი შემოსავლებისა და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 682313 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 92879 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 589434 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2022 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2022	2021
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	1 106 371	483 834
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	589 434	790 958
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(526 317)	(168 421)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1 169 488	1 106 371

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 1106371 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 589434 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 526317 ლარით და 2022 წლის ბოლოსათვის შეადგინა 1169488 ლარი. (შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	ფული სალაროში ლარში	2 482	11 487
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	445 268	462 497
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	-	18 572
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	447 750	492 556

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2022 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 492556 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 447750 ლარი. (შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 117526 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 2692998 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 2760096 ლარი და დარჩა მისაღები 50428 ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო. (შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს სამედიცინო კომპონენტებს. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 168379 ლარი მთლიანად არის სამედიცინო კომპონენტებზე ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 979162 ლარის მარაგი, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 836159 ლარის მარაგი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 311382 ლარი. (შენიშვნა #12)

დასახელება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	იჯარით აღებული კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2021	311 798	29 267	46 045	12 897	400 007
შემოსვლა	132 502	4 554	-	-	137 056
ცვეთა	(55 261)	(5 874)	(4 853)	(2 400)	(68 388)
გასვლა	(19 393)	-	-	-	(19 393)
ნაშთი 31.12.2022	369 646	27 947	41 192	10 497	449 282

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სამედიცინო აპარატურით და ყოველწლიურად ხდება განახლება. სულ ძირითად საშუალებებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 400007 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 137056 ლარის, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 68388 ლარი, გავიდა 19393 ლარის და 2022 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 449282 ლარი.(შენიშვნა #13)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 56085 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა 2232855 ლარი, გასტუმრებული იქნა 2217119 ლარი, ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 71821 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში იყო 9351 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 16617 ლარი.(შენიშვნა #15)

სხვა მოკლევადიან ვალდებულებებზე წლის დასაწყისში ნაშთი იყო 6661 ლარი, წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 916 ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 1106371 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 589434 ლარი, გაიცა დივიდენდები 526317 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 1169488 ლარი. (შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2022	2021
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	89 275	535 917
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(134 081)	(173 282)
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(44 806)	362 635
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	492 556	129 921
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	447 750	492 556

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 492556 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 89275 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან კლება (134081) ლარი, შედეგად წმინდა კლება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 44806 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 447750 ლარი.(შენიშვნა #18)

დირექტორი:

მედეა ავალიანი